ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6858235

ნომერი: AR11009412

თარიღი : 06.01.2024

გაცემის თარიღი : 29.01.2024

გაცნობის თარიღი : 30.01.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, N 9დ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ანტონი მჭედლიშვილი პ/ნ 65002003918
- ქ. თბილისი, აგარაკის ქუჩა 14

ორგანიზაცია:
- შპს "აკრისი" კოდი: 405499161

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 ნოემბრის №6771004 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 06 იანვარს №AR11009412 განცხადებით მომართა ანტონი მჭედლიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 21 ნოემბრის №6771004 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 10 ოქტომბრის №6703595 ბრძანებით შეთანხმდა №01.17.12.003.168 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის 2023 წლის 21 ნოემბრის №6771004 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 21 ნოემბრიდან 2027 წლის 21 ნოემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსრებულია შპს "სიგმა დეველოპმენტი" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406361315).

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 21 ნოემბრის №6771004 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ, დამკვეთად ძველი მესაკუთრის - შპს „სიგმა დეველოპმენტი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406361315) ნაცვლად შპს „აკრისი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405499161) დაფიქსირებას.

დღევანდელი მდგომარეობით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №892023430868; მომზადების თარიღი: 22/12/2023 წ.) ქ.თბილისში, მოსკოვის გამზირი №9დ ში მდებარე №01.17.12.003.168 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „აკრისი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405499161).

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის თანახმად (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B23145500, მომზადების თარიღი: 12/10/2023 წ.), შპს „აკრისი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405499161) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ანტონი მჭედლიშვილი და მაია ქურციკიძე. შპს „აკრისი“-ს სადამფუძნებლო შეთანხმების მიხედვით ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებენ ერთპიროვნულად. შესაბამისად, დგინდება განმცხადებლის - ანტონი მჭედლიშვილის უფლებამოსილება.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დღევანდელი მდგომარეობით, №01.17.12.003.168 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „აკრისი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405499161), რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელი სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და დამკვეთად დააფიქსიროს შპს „აკრისი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405499161).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 ნოემბრის №6771004 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს „აკრისი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405499161).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 ნოემბრის №6771004 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 ნოემბრის №6771004 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.